საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

დებულება

შემუშავებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ
2018 წლის 2 აპრილი (ოქმი №5)

დამტკიცებულია სტუ-ის წარმომადგენლობითი
საბჭოს (სენატის) მიერ
დადგენილება №01-06-02/29 02.04.2018 წელი

თბილისი
2018

სარჩევი

თავი I	**ზოგადი დებულებანი**	4
მუხლი 1.	დებულების რეგულირების სფერო	4
მუხლი 2.	ფაკულტეტის სტატუსი	4
მუხლი 3.	ფაკულტეტის უფლებამოსილება	4
თავი II.	**ფაკულტეტის მიზნები, ამოცანები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები**	5
მუხლი 4.	ფაკულტეტის მიზნები და ამოცანები	5
მუხლი 5.	ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები	5
თავი III.	**ფაკულტეტის სტრუქტურა**	6
მუხლი 6.	ფაკულტეტის სტრუქტურა	6
მუხლი 7.	ფაკულტეტის მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები)	6
მუხლი 8.	ფაკულტეტის საბჭო	7
მუხლი 9.	ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება	7
მუხლი 10.	ფაკულტეტის დეკანი	9
მუხლი 11.	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	10
მუხლი 12.	ფაკულტეტის სათათბირო	11
მუხლი 13.	ფაკულტეტის მენეჯერი	12
მუხლი 14.	მზრუნველთა საბჭო	13
თავი IV.	**ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო**	
მუხლი 15	ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიზანი	13
მუხლი 16.	სადისერტაციო საბჭოს სტრუქტურა და შემადგენლობა	13
თავი V.	**ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები**	14
მუხლი 17.	ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები	14
მუხლი 18.	აკადემიური დეპარტამენტი და მისი სტატუსი	16
მუხლი 19.	აკადემიური დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები	17
მუხლი 20.	სამეცნიერო-კვლევითი (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, პროგრამული მიმართულება, ლაბორატორია, ცენტრი და სხვა) ერთეულები	18
თავი VI.	**ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები**	18
მუხლი 21.	ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები	18
მუხლი 22.	ფაკულტეტის კომისიები და კოლეგიები	21
თავი VII.	**ფაკულტეტის პერსონალი**	21

მუხლი 23.	პერსონალი	21
მუხლი 24.	აკადემიური პერსონალი	21
მუხლი 25.	აკადემიური თანამდებობის დაკავება	22
მუხლი 26.	უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალი	22
მუხლი 27.	სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი	22
მუხლი 28.	ადმინისტრაციული თანამდებობები და სხვა პერსონალი	23
თავი VIII.	**სტუდენტი**	23
მუხლი 29.	სტუდენტის სტატუსის მოპოვება	23
მუხლი 30.	სტუდენტის უფლებები	23
მუხლი 31.	სტუდენტის ვალდებულებები	25
მუხლი 32.	სტუდენტური თვითმმართველობა	25
თავი IX.	**ფაკულტეტის ბიუჯეტი**	25
მუხლი 33.	ფაკულტეტის შემოსავლები	25
მუხლი 34.	ფაკულტეტის ბიუჯეტი	26
თავი X.	**დასკვნითი და გარდამავალი დებულებანი .**	26
მუხლი 35.	ფაკულტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია	26
მუხლი 36.	ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი	26

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

ეს დებულება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის (შემდგომში „ფაკულტეტი“) მიზნებსა და ამოცანებს, ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, მართვის ორგანოებისა და პერსონალის დანიშვნისა და არჩევის წესს, მათ უფლება-მოვალეობებს, ფაკულტეტის მართვის პრინციპებს, ასევე ფაკულტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2. ფაკულტეტის სტატუსი

1. ფაკულტეტი არის უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში შეიმუშავებს და ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს ინფორმატიკის, ხელსაწყომშენებლობის, ავტომატიზაციისა და მართვის სისტემების, ბიოსამედიცინო ინჟინერიის, საინჟინრო ფიზიკს, სამედიცინო ფიზიკის და მათემატიკის მიმართულებებით.
2. ფაკულტეტს აქვს ბეჭედი ფაკულტეტის სახელწოდებით, აგრეთვე შესაბამისი ბლანკები და შტამპი.
3. ფაკულტეტის სრული სახელწოდებაა: ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი; ინგლისურად – Faculty of Informatics and Control Systems;
4. ფაკულტეტის მისამართია: მერაბ კოსტავას ქუჩა № 77, მე-6 კორპუსი, 0160 თბილისი, საქართველო.
5. ფაკულტეტის ოფიციალური ვებ-გვერდია http://ims.gtu.ge

მუხლი 3. ფაკულტეტის უფლებამოსილება

1. ფაკულტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით.

2. ფაკულტეტი დამოუკიდებელია მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის შესაბამისად გადაწყვეტილებათა მიღებასა და მოქმედებათა განხორციელებაში.

თავი II.

ფაკულტეტის მიზნები, ამოცანები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მუხლი 4. ფაკულტეტის მიზნები და ამოცანები

1. ფაკულტეტის მიზანია შექმნას სათანადო პირობები სწავლისა და კვლევისათვის, პროფესიული და ზნეობრივი განვითარებისათვის, განათლების ხარისხის ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებთან თავსებადობისათვის, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლების მიღების შესაძლებლობისათვის, საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და რესურსების მუდმივი გაძლიერებისათვის.

2. ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია:

ა) თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის, კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზრის მოთხოვნებისადმი ადაპტირებადი და სათანადო უნარების მქონე სპეციალისტების მომზადება;

ბ) მოქალაქეობრივი ცნობიერების, დემოკრატიული პრინციპების მატარებელი, თავისუფალი აზროვნების პიროვნების ჩამოყალიბება;

გ) პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების მქონე პირების - ბაკალავრების მომზადება;

დ) სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების მქონე პირების - მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება.

3. ფაკულტეტი პასუხისმგებელია სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებაზე, რისთვისაც ბიუჯეტში მუდმივად გათვალისწინებულია სათანადო ფინანსური რესურსები.

4. ფაკულტეტი ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობასა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაღრმავებას, მათ შორის, უცხოელი სტუდენტებისა და პერსონალის მოზიდვას/მობილობას. აგრეთვე, ზრუნავს უნივერსიტეტის მიერ სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებს შორის არსებული ხელშეკრულებების ფარგლებში, სტუდენტების გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობისთვის.

5. ფაკულტეტი ახალი პროგრამის შემუშავებას ან/და განვითარებას ახორციელებს დამსაქმებელთა და პროფესიულ ასოციაციებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის მიხედვით.

მუხლი 5. ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) მეცნიერების შესაბამის დარგებში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიური პროგრამების განხორციელება;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;

გ) სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმართვა;

დ) საექსპერტო და საკონსულტაციო საქმიანობა;

ე) სტუდენტთა მრავალმხრივი განვითარების მიზნით, კულტურული, სპორტული და შემოქმედებითი საქმიანობა;

ვ) უწყვეტი განათლების პრინციპის დაცვის, ასევე, ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სასემინარო-სატრენინგო საქმიანობა (სტუდენტებისთვის, აკადემიური პერსონალისა და სხვა პერსონალისთვის).

თავი III.

ფაკულტეტის სტრუქტურა

მუხლი 6. ფაკულტეტის სტრუქტურა

1. ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის:

ა) ფაკულტეტის მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები);

ბ) სასწავლო ერთეულები;

გ) სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები (კათედრა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ლაბორატორია, კლინიკა, პროგრამული მიმართულება და სხვა);

დ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული;

ე) დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.

2. ფაკულტეტზე არის ფაკულტეტის სათათბირო და მენეჯერის თანამდებობა.
3. ფაკულტეტზე იქმნება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.
4. ფაკულტეტის საბჭოს წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით, ფაკულტეტზე შეიძლება შეიქმნას მზრუნველთა საბჭო;
5. მზრუნველთა საბჭოს შემადგენლობას ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო;
6. ფაკულტეტზე იქმნება კომისიები (მუდმივმოქმედი და დროებითი) და კოლეგიები.
7. ფაკულტეტზე მოქმედებს სტუდენტური თვითმმართველობა.
8. ფაკულტეტზე არსებობს ცენტრალური ბიბლიოთეკის ფილიალი.
9. ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას, აგრეთვე ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.

მუხლი 7. ფაკულტეტის მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები)

1. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
2. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებითა და ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტით;
3. ფაკულტეტის არჩევითი მმართველი სუბიექტების - დეკანისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევა ხდება „საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულებით (შემდგომში – არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) დადგენილი წესით.

მუხლი 8. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა უნდა იყოს საბჭოს სრული შემადგენლობის 1/3, დამრგვალება ხორციელდება სტუდენტთა სასარგებლოდ.

3. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

4. ფაკულტეტის საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, ხოლო „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, კი საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

5. ფაკულტეტის საბჭო პირველი შეკრებისთანავე ცნობს თავისი წევრების უფლებამოსილებას.

6. სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ ფაკულტეტის საბჭოში არჩეული წარმომადგენლების უფლებამოსილების ცნობა ხდება ფაკულტეტის საბჭოს უახლოეს სხდომაზე.

7. დეკანის არყოფნის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს მოწვევის უფლება აქვს საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ს ან დეკანის მოადგილეს.

მუხლი 9. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

ფაკულტეტის საბჭო:

ა) შეიმუშავებს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს;

ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურას, დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს);

ე) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს;

ვ) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;

ზ) ქმნის ფაკულტეტის ეთიკის მუდმივმოქმედ კომისიას და ამტკიცებს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;

თ) ახორციელებს ფაკულტეტის სტუდენტის მიმართ დისციპლინურ საქმისწარმოებას;

ი) ქმნის ფაკულტეტის მუდმივმოქმედ და დროებით კომისიებს, მათ შორის სწავლულ ექსპერტთა დარგობრივ კომისიებს;

კ) უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს, საბჭოს თავმჯდომარეობს საბჭოს დამსწრე უხუცესი წევრი.

ლ) დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ღია კენჭისყრით, საბჭოს უხუცესი წევრის თავმჯდომარეობით, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს;

მ) აკადემიური პერსონალიდან ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრებს ფაკულტეტისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში. შესაბამისი არჩევნები ტარდება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით დადგენილი წესით;

ნ) იღებს გადაწყვეტილებებს საკუთარი ფუნქციების ფაკულტეტის სათათბიროზე დელეგირების შესახებ, გარდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლით პირდაპირ განსაზღვრული უფლებამოსილებებისა;

ო) აკადემიური დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე ფაკულტეტის საბჭოს მიერ კანდიდატურის წარდგენის შემთხვევაში, ისმენს ფაკულტეტის ორგანიზაციული ერთეულის - აკადემიური დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე დასანიშნ პირთა მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმებს და დამსწრეთა ხმების უმრავლესობით შერჩეულ კანდიდატს რეკომენდაციას უწევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინაშე;

პ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

ჟ) ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორს;

რ) ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესს;

ს) ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებას და

ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს;

ტ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესს;

მუხლი 10. ფაკულტეტის დეკანი

1. ფაკულტეტის დეკანს თანამდებობაზე ირჩევს ფაკულტეტის საბჭო.

2. დეკანი აირჩევა ოთხი წლის ვადით. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

3. ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების წესი განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით.

4. დეკანად შეიძლება აირჩეს უნივერსიტეტის ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

5. ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურად მიმდინარეობას;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის), ფაკულტეტის საბჭოს და სათათბიროს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს;

ვ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

ზ) „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

თ) მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში წარმოადგენს ფაკულტეტს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ი) მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში დებს ხელშეკრულებებს და მემორანდუმებს ფაკულტეტის სახელით;

კ) ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

6. ფაკულტეტის დეკანს ჰყავს ერთი მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, დეკანის წარდგინების

საფუძველზე. დეკანის მოადგილის თანამდებობის დაკავების უფლება აქვს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის პროფესორს ან ასოცირებულ პროფესორს.

7.დეკანის მოადგილის ძირითადი კომპეტენციაა სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა, ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების საქმიანობის მონიტორინგი, დეკანის დავალებათა შესრულება, დეკანის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის არარსებობისას, დეკანის მოვალეობის ავტომატურად შესრულება.

8. დეკანი და დეკანის მოადგილე წარმოადგენენ ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პერსონალს.

მუხლი 11. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით, იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და ამ დებულების შესაბამისად.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო 4 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნების წესი განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით;

4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრთა რაოდენობასა და პერსონალურ შემადგენლობას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით განსაზღვრავს ფაკულტეტის სათათბირო.

5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

ა) ხელი უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენებისა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადების გზით.

ბ) სისტემატურად აფასებს ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის მიმდინარეობას, აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხს.

გ) ამყარებს მჭიდრო კავშირს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის სამსახურებთან, ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი რეალიზების მეთოდოლოგიის სრულყოფის მიზნით.

დ) უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით, ადგენს ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმებს;

ე) აღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე ახდენს სასწავლო და სამეცნიერო პროცესების მონიტორინგს და შეფასებას;

ვ)უზრუნველყოფს ფაკულტეტის თვითშეფასებას, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესისათვის;

ზ) რეგულარულად (სემესტრში ერთხელ) აცნობს თავისი მუშაობის შედეგებს ფაკულტეტის სათათბიროს და საბჭოს;

თ) განიხილავს სასწავლო პროგრამების კურიკულუმებს, მოდულებისა და სასწავლო კურსების სილაბუსებს და იძლევა რეკომენდაციებს მათი სრულყოფისათვის;

ი) ახორციელებს უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი:

ა) არის ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პერსონალი;

ბ) არის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიის თავმჯდომარე, ახორციელებს ამ კომისიის მუშაობის საერთო ხელმძღვანელობას და კონტროლს

გ) წარმართავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას უნივერსიტეტის წესდების, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ფაკულტეტის დებულებების შესაბამისად;

დ) ანაწილებს მოვალეობებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებს შორის;

ე) ხელმძღვანელობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამუშაო გეგმების შემუშავებასა და მათ შესრულებას;

ვ) წარმოადგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან, ფაკულტეტებთან და სხვა სამსახურებთან, ასევე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში წარმოადგენს ფაკულტეტს მესამე პირებთან ურთიერთობისას;

7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო ნიშნავს მოვალეობის შემსრულებელს და უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ნიშნავს არჩევნებს.

8. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას აფასებს ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესის საფუძველზე, რომელსაც შეიმუშავებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 12. ფაკულტეტის სათათბირო

1.ფაკულტეტის სათათბიროში შედის: დეკანი (თავმჯდომარე), მისი მოადგილე, მენეჯერი, ფაკულტეტის ორგანიზაციული ერთეულების ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში ფაკულტეტის კვოტით არჩეული წარმომადგენლები.

2. ფაკულტეტის სათათბირო:

ა) ფაკულტეტის უფლებამოსილებათა ფარგლებში ასრულებს ყველა იმ მმართველობით ფუნქციას, რაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად უშუალოდ არ შედის ფაკულტეტის საბჭოს, დეკანის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და მენეჯერის კომპეტენციებში;

ბ) ამ დებულების მე-9 მუხლის “ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ასრულებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დელეგირებულ სხვა ნებისმიერ ფუნქციას; სოციალური დახმარებები, სამეცნიერო მივლინებები, ჯილდოები, პრემიები და სხვა.

გ) ხელს უწყობს ფაკულტეტის მმართველ სუბიექტებს, ასრულებს რა მათი მრჩეველის ფუნქციებს ფაკულტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებში, ასევე ოპერატიული ამოცანების გადაწყვეტისას;

დ) იღებს გადაწყვეტილებებს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ასევე ამზადებს საკითხებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს ფაკულტეტის საბჭოზე წარსადგენად (განსახილველად);

მუხლი 13. ფაკულტეტის მენეჯერი

1. მენეჯერი განეკუთვნება დამხმარე თანამდებობას, რომლის უფლებამოსილებებიც განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტითა და ამ დებულებით.

2. ფაკულტეტის მენეჯერს ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.

3. მენეჯერი:

ა) ახდენს შრომის ბაზრის მარკეტინგულ და პროგნოზულ ანალიტიკურ კვლევას, რის საფუძველზეც ადგენს საგანმანათლებლო პროგრამებისადმი წარდგენილ მოთხოვნათა ნუსხას საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით;

ბ) ახორციელებს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ფინანსურ და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის ზედამხედველობას;

გ) ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულების მიზნით, ადგენს ფინანსური და მატერიალური რესურსების მოზიდვის ყოველწლიურ გეგმას და პასუხისმგებელია მისი შესრულების მიზნობრიობასა და ეფექტიანობაზე;

დ) დეკანთან და სათათბიროსთან ერთად ადგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს და განსაზღვრისათვის წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;

ე) პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის შესრულებაზე;

ვ) კოორდინაციას უწევს სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის, სტაჟირებისა და მათი შემდგომი დასაქმების პროცესს;

ზ) ახორციელებს ამ დებულებით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. მენეჯერი ზემოთ აღწერილ ფუნქციებს ახორციელებს მენეჯერის სამსახურთან ერთად.
4. მენეჯერი ანგარიშვალდებულია რექტორისა და ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

მუხლი 14. მზრუნველთა საბჭო

1. ფაკულტეტის საბჭოს წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით, ფაკულტეტზე შეიძლება შეიქმნას მზრუნველთა საბჭო

2. მზრუნველთა საბჭოს შემადგენლობას ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

3. მზრუნველთა საბჭოს მისიაა:

ა) სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიმართულებათა ცოდნის, აკადემიური და ინტელექტუალური პროცესების არსისა და პრობლემური სიტუაციების სპეციფიკის გაცნობიერების, გადაწყვეტილებების უახლესი ინფორმაციის გათვალისწინებით მიღების საფუძველზე ფაკულტეტის განვითარებაში წვლილის შეტანა, თანამშრომლობა, საქველმოქმედო შენატანების მოზიდვა, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებით მისი გაძლიერებისათვის ხელშეწყობა;

ბ) თანამშრომლობა ფაკულტეტის სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამების აკადემიური ხარისხის ამაღლებისა და ფუნქციონირების აქტუალიზებაში.

თავი IV.

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

მუხლი 15. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიზანი

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება აკადემიური საბჭოს მიერ.

მუხლი 16. სადისერტაციო საბჭოს სტრუქტურა და შემადგენლობა

1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევისა და სადისერტაციო საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით, რომელსაც ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო.
2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება ფაკულტეტის შესაბამისი დარგის/სპეციალობის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან;
3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის შუამდგომლობით, შესაძლებელია სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ შესაბამისი დარგის წარმომადგენლები/სპეციალობის მქონე პირები საქართველოდან და უცხოეთიდან, აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და წესის შესაბამისად.
4. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის შუამდგომლობით, შესაძლებელია სადისერტაციო საბჭოში მოწვეული იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის უნივერსიტეტის თანამშრომელი და ფაკულტეტის რომელიმე სადოქტორო პროგრამის შესაბამისი მეცნიერების დარგში უკანასკნელ 5 წელიწადში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 3 შრომისა.

თავი V.

ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები

მუხლი 17. ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები

1. სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევების კოორდინირებულად წარმართვის მიზნით, ფაკულტეტზე იქმნება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები.

2. ფაკულტეტის სასწავლო ერთეულებია:

- კომპიუტერული ინჟინერიის აკადემიური დეპარტამენტი - 801;
- ინტერდისციპლინური ინფორმატიკის აკადემიური დეპარტამენტი - 803 ;
- ეკონომიკური ინფორმატიკის (ინფორმაციული სისტემების) აკადემიური დეპარტამენტი - 804;
- მართვის ავტომატიზებული სისტემების (პროგრამული ინჟინერიის) აკადემიური დეპარტამენტი - 805;
- მართვის სისტემების აკადემიური დეპარტამენტი - 806 ;
- ბიოსამედიცინო ინჟინერიის აკადემიური დეპარტამენტი - 807 ;
- გამოთვლითი მათემატიკის აკადემიური დეპარტამენტი - 808;
- ხელოვნური ინტელექტის აკადემიური დეპარტამენტი - 809 ;
- საინჟინრო ფიზიკის აკადემიური დეპარტამენტი - 810;
- მათემატიკის აკადემიური დეპარტამენტი - 811;
- მიკროპროცესორული და საზომი სისტემების აკადემიური დეპარტამენტი - 813 ;

3. ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები:

ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებია:

ა) სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია:

- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების სასწავლო–სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორია;
- საინჟინრო ფიზიკის სასწავლო–სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორია;

ბ) სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია:

- სამედიცინო ტექნიკის ხარისხის კონტროლის ლაბორატორია;

გ) სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრი:

- პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების ცენტრი;
- სამეცნიერო–კვლევითი და სადიაგნოსტიკო ცენტრი „ექსპერტი“;
- სტრუქტურული კვლევის რესპუბლიკური ცენტრი;
- IT კონსალტინგის სამეცნიერო–კვლევითი ცენტრი;

დ) სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი:

- მეტროლოგიური, სერტიფიკაციისა და სტანდარტიზაციის უზრუნველყოფის სანეცნიერო-სასწავლო ცენტრი „სტანდარტი“;
- ზოგადსაუნივერსიტეტო ვირტუალური მოდელირების ცენტრი;
- ალმასებისა და კომპოზიციური მასალების სამეცნიერო ცენტრი;

- კრიმინალისტიკურ–ტექნიკური ექსპერტიზის სასწავლო–სამეცნიერო ცენტრი;
- ტელემედიცინის ცენტრი;

ე) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული:

- სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრი;

ვ) სასწავლო ცენტრი

- ინფორმაციული ტექნოლოგიების და დისტანციური სწავლების საუნივერსიტეტო ცენტრი;
- ელექტრონული სწავლების სასწავლო სამეცნიერო სასწავლო ცენტრი;

ზ) საინჟინრო ფიზიკის პრობლემათა ინსტიტუტი;

თ) იუნესკოს კათედრა;

ი) კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრი;

კ) აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემების უზრუნველყოფის ცენტრი;

ლ) ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციური ცენტრი „ერთად";

მ) სტუდენტური სერვის ცენტრი.

4. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიები (შემდგომში ლაბორატორია) უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროგრამებს ლაბორატორიული ბაზით და ხელს უწყობენ ფაკულტეტს სამეცნიერო, საინოვაციო, საპროექტო, საცდელ-საკონსტრუქტორო, საექსპერტო, დიაგნოსტიკური და საკონსულტაციო საქმიანობაში.

ლაბორატორიის ფუნქციებია:

ლაბორატორიების ფუნქციებია:

- ლაბორატორიული ბაზის მომზადება საგანმანათლებლო პროგრამის და აკადემიური დეპარტამენტების მოთხოვნების შესაბამისად
- აკადემიურ დეპარტამენტებთან ერთად სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვა
- აკადემიურ დეპარტამენტებთან, პროგრამების კოორდინატორთან და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით არსებული მატერიალური ბაზის მოდიფიცირება/გაძლიერება;
- აკადემიურ დეპარტამენტებთანდა საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან თანამშრომლობა მეთოდური მითითებების შემუშავების მიზნით.

5.ლაბორატორია უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას, მის ეფექტურ გამოყენებას, პერსონალის პროფესიული დონის ამაღლებას, სტუდენტების ჩართვას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, ტექნოპარკების ფუნქციონირებას, ასევე სამეცნიერო ცენტრების საქმიანობას.

6. ლაბორატორიას ხელმძღვანელობს უფროსი, რომლის თანამდებობაზე დანიშვნა/არჩევა ხორციელდება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

7. ლაბორატორიის უფროსი ანგარიშვალდებულია რექტორისა და ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

8. ლაბორატორიის უფროსის ფუნქციებია:

- ხელი შეუწყოს ფაკულტეტზე არსებულ, უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ხელსაწყო-დანადგარები და ა.შ.) მოვლა-პატრონობას, მუშა მდგომარეობაში შენარჩუნებასა და შემდგომ სრულყოფა-განახლებას;
- შესაბამის აკადემიურ დეპარტამენტთან ერთად კოორდინაცია გაუწიოს და ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებას ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზებზე;
- კოორდინაცია გაუწიოს უფროსი ლაბორანტებისა და ლაბორანტებისადმი გათვალისწინებულ ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას და მისცეს მათ საქმიანობას კვალიფიციური შეფასება;
- უზრუნველყოს სასწავლო განრიგით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოების შესაბამის დონეზე ჩატარება;
- ხელი შეუწყოს უფროსი ლაბორანტებისა და ლაბორანტების პროფესიულ სრულყოფას.

9. ლაბორატორიულ პერსონალს მიეკუთვნება უფროსი ლაბორანტი და ლაბორანტი, რომლებიც ექვემდებარებიან ფაკულტეტის ლაბორატორიის უფროსს.

10. უფროსი ლაბორანტის ფუნქციებია:

- საგნის წამყვან პროფესორებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს სასწავლო-მეთოდური სამუშაოების შესრულებაში;
- სისტემატიურად იმაღლებდეს კვალიფიკაციას და ხელს უწყობდეს ლაბორანტის პროფესიულ სრულყოფას;
- უზრუნველყოს ლაბორანტის მიერ სასწავლო განრიგით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოების შესაბამის დონეზე ჩატარება;
- დროულად გააკეთოს განაცხადი ლაბორატორიის უფროსის წინაშე ლაბორატორიულ მოწყობილობათა შეკეთების, აგრეთვე ახალი ხელსაწყოების, ქიმიური რეაქტივებისა და სხვა მასალების შეძენის თაობაზე.

11. ლაბორანტის ფუნქციებია:

- სასწავლო განრიგით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება;
- სისტემატიურად იზრუნოს კვალიფიკაციის ამაღლებაზე;
- მოამზადოს და ორგანიზება გაუკეთოს სასწავლო ლაბორატორიებში სამუშაო ადგილების მზადყოფნას სასწავლო და სამეცნიერო პროცესის წარმართვისთვის;
- იცავდეს საწარმოო სანიტარულ ნორმებს, უსაფრთხოების ტექნიკის წესებს, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს და საჭიროების შემთხვევაში შეძლოს მათი პრაქტიკული გამოყენება;
- ფლობდეს ლაბორატორიულ ტექნიკასთან მუშაობის უნარ-ჩვევებს.

მუხლი 18. აკადემიური დეპარტამენტი და მისი სტატუსი

1. აკადემიური დეპარტამენტი (შემდგომში დეპარტამენტი) წარმოადგენს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საგანმანათლებლო

პროგრამის/პროგრამების ფარგლებში უზრუნველყოფს სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

2. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის წესდებით, ფაკულტეტის დებულებითა და უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 19. დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. **აკადემიური დეპარტამენტი:**

- უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებით დეპარტამენტისათვის განსაზღვრულ საგნებში სილაბუსისა და განრიგის შესაბამისად მეცადინეობების ჩატარებას;
- ქმნის ან/და მონაწილეობს ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაში და არსებული პროგრამების მოდიფიცირებაში;
- ახორციელებს სასწავლო პროცესის მეთოდურ უზრუნველყოფას (სახელმძღვანელოების და სხვა სასწავლო-მეთოდური მასალის მომზადება), ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას;
- ახდენს დეპარტამენტის აკადემიური დატვირთვის ფორმირებას და ადმინისტრირებას;
- დეკანის წინაშე ინიცირებას უკეთებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების (მოწვეული პროფესორი ან/და მოწვეული მასწავლებელი) მოწვევას სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, ვაკანტური აკადემიური დატვირთვის არსებობის შემთხვევაში;
- უზრუნველყოფს სწავლების არსებული მეთოდების ეფექტურად გამოყენების გზით სწავლის ხარისხის ამაღლებას, სწავლების ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვას, სასწავლო პროცესის სრულყოფას;
- ორგანიზაციას უწევს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
- ახორციელებს მაგისტრანტების და დოქტორანტების თემებით და ხელმძღვანელებით უზრუნველყოფას;
- ხელს უწყობს სასწავლო-პედაგოგიური კადრების მომზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას;
- დეპარტამენტის პროფილის შესაბამისად ამყარებს შემოქმედებით კავშირებს და თანამშრომლობს სხვა უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებთან და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან;
- ფაკულტეტის შესაბამისი დამხმარე სასწავლო-სამეცნიერო ერთეულის - ლაბორატორიის ბაზაზე ახორციელებს და კოორდინაციას უწევს სამეცნიერო კვლევებს, ატარებს სამეცნიერო-მეთოდურ სემინარებს, იძლევა ექსპერტულ დასკვნებს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე და პროექტებზე;
- ახორციელებს სამაგისტრო საკვალიფიკაციო და სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომების რეცენზირებას;
- საკუთარი პროფილის შესაბამისად თანამშრომლობს საწარმოებთან და ორგანიზაციებთან და ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა შრომით დასაქმებას;
- კოორდინაცის უწევს ფაკულტეტზე არსებული თვითდაფინანსებაზე მყოფი შესაბამისი პროფილის სამეცნიერო ცენტრების საქმიანობას;
- ახორციელებს სტუდენტთა შეფასების უწყისების რეგისტრაციას და დეკანატში გადაცემას.

2. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს უფროსი, რომლის თანამდებობაზე დანიშვნა/არჩევა და გათავისუფლება ხორციელდება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

3. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია რექტორისა და ფაკულტეტის საბჭოს/სათათბიროს წინაშე.

მუხლი 20. სამეცნიერო-კვლევითი ერთეული (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ლაბორატორია, პროგრამული მიმართულება, ცენტრი და სხვა)

1.სამეცნიერო-კვლევითი ერთეული (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ლაბორატორია, პროგრამული მიმართულება, ცენტრი და სხვა) ფაკულტეტში შემავალი სტრუქტურული ერთეულია და ძირითადად შედგება აკადემიური პერსონალისაგან.

2. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პერსონალი ვალდებულია განახორციელოს სასწავლო, სამეცნიერო და მეთოდური საქმიანობა, გადაამზადოს სპეციალისტები.
3. სამეცნიერო-კვლევითი ერთეული საქმიანობას წარმართავს შესაბამისი დებულებით;
4. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.

თავი VI.

ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 21. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

1. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მმართველი ორგანოების, ფაკულტეტის საბჭოს, სათათბიროსა და დეკანის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, შეიმუშავებენ შესაბამისი სფეროს განვითარების წინადადებებს და განსახილველად წარუდგენენ ფაკულტეტის დეკანს.
2. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია:

   2.1. დეკანის აპარატი, რომელშიც შედის:

- საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი;
- სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორი;
- ჯგუფის უფროსი:

ა) ბაკალავრიატის ქვეჯგუფი;

ბ) მაგისტრატურის ქვეჯგუფი;

გ) დოქტორანტურის ქვეჯგუფი;

დ) კურსდამთავრებულთა ქვეჯგუფი;

ე) სამეცნიერო-კვლევით სამუშაოების კოორდინაციის ქვეჯგუფი;

ვ) არქივარიუსი.

   2.2. მენეჯერი.

3. დამხმარე პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება საშტატო ნუსხის შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭო (სენატი);

4. დამხმარე პერსონალის ფუნქციები განსაზღვრულია ამ დებულებითა და თანამდებობრივ ინსტრუქციებით.

5. დამხმარე პერსონალი ანგარიშვალდებულია დეკანის წინაშე; საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი ანგარიშვალდებულია დეკანისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წინაშე.

6. **დეკანის აპარატი** უზრუნველყოფს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის სრულყოფილ და ოპერატიულად წარმართვას. იგი შედგება შემდეგი დამხმარე პერსონალისაგან: საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი, სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორი, მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, სპეციალისტი და არქივარიუსი, რომელთა ფუნქციებია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი უზრუნველყოფს:

- აკადემიურ დეპარტამენტებთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით საგანმანათლებლო პროგრამების და შრომითი ბაზრის შესაბამისობის კვლევას;
- აკადემიურ დეპარტამენტებთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან და სასწავლო-სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს წინადადების შემუშავებას ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისათვის;
- აკადემიურ დეპარტამენტებთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან და სასწავლო-სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს წინადადების შემუშავებას საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისათვის;
- აკადემიურ დეპარტამენტებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფების ფორმირებას და მათ კოორდინაციას;
- ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინაციას, მათ შედარებასა და ურთიერთგადაფარვის გამორიცხვას;

ბ) სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორის ფუნქციებია:

- ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის სრულყოფილად და ოპერატიულად წარმართვის ხელშეწყობა;
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;
- უნივერსიტეტის/ფაკულტეტის სასწავლო და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის.

გ) ჯგუფის უფროსი დეკანის აპარატში კოორდინაციას უწევს აპარატში შემავალი ქვეჯგუფების მუშაობას, წერს საუნივერსიტეტო და საფაკულტეტოს ბრძანებებს, ასრულებს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნებს, უზრუნველყოფს სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოებას,

აქტიურად თანამშრომლობს აკადემიურ და დამხმარე პერსონალთან სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და სრულყოფილად წარმართვის მიზნით;

დ) მთავარი სპეციალისტის ფუნქციებია:

- სათანადო შინაარსის ბრძანებების პროექტების მომზადება;
- სათანადო სტატისტიკური მონაცემების შედგენა;
- კურსდამამთავრებულებისათვის დამთავრების შესახებ ბრძანების პროექტისა და დიპლომის ასლის მომზადება;
- თეორიული კურსის დასრულების შემდეგ ჯგუფების მიხედვით შემაჯამებელი დოკუმენტების შედგენა;
- საკვალიფიკაციო კომისიის ოქმების წარმოება.

ე) უფროსი სპეციალისტის ფუნქციებია:

- დიპლომის დანართის შედგენა;
- სასწავლო წლისთვის პროგრამებისა და კურსების მიხედვით სასწავლო გეგმის შედგენა;
- სტუდენტთა რეგისტრაცია; ხელშეკრულებების გაფორმება. სტუდენტების ჯგუფებად დაყოფა;
- სასწავლო პასპორტის შედგენა;
- სტუდენტის სასწავლო ბარათის შედგენა;
- სტუდენტის პირადი საქმის წარმოება;
- სტუდენტთა შემადგენლობის შესახებ შემოსული ბრძანების ასახვა კომპიუტერული უზრუნველყოფის ბაზაში, სასწავლო პასპორტში, მოძრაობის ჟურნალში;
- შესაბამისი ბრძანების ამონაწერის შეტანა პირად საქმეში, ჯგუფის შეცვლის შემთხვევაში პირადი საქმის გადატანა ბრძანებაში მითითებულ ჯგუფში;

ვ) სპეციალისტის ფუნქციებია:

- სტუდენტთა პირადი საქმიდან სრული მონაცემების ამოკრეფა, მომზადება და ელექტრონულ ბაზებში შეტანა;
- ცნობების პროექტის მომზადება, რეგისტრაცია და გაცემა (ფორმა 26, T-2 და .ა. შ., მათი რეგისტრაცია);
- ელექტრონული უწყისების ფორმირება;

ზ) სამეცნიერო-კვლევით სამუშაოების კოორდინაციის ქვეჯგუფი :

მისი ფუნქციაა ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის ხელშეწყობა, თანამშრომლების სამეცნიერო საქმიანობის თავმოყრა, სამეცნიერო კონფერენციების მომზადება და ჩატარების უზრუნველყოფა, ყოველწლიური სამეცნიერო ანგარიშების მომზადება საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიისთვის, სამეცნიერო-ტექნიკური გამოფენებისთვის მასალების მომზადება და სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.

თ) არქივარიუსი უზრუნველყოფს: ფაკულტეტის არქივის საქმის წარმოებას:

- არქივის დოკუმენტების წარმოება;
- არქივთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის გაცემა;

- პირადი საქმეების აკინძვა და ჩაბარება ცენტრალურ არქივში;
- მოთხოვნილების მიხედვით არქივში არსებული კურსდამთავრებულთა დოკუმენტაციის საფუძველზე დიპლომის დანართის მომზადება.

მუხლი 22. ფაკულტეტის კომისიები და კოლეგიები

1. ფაკულტეტზე უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით იქმნება:
- ფაკულტეტის ეთიკის კომისია;
- ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიები;
- ბაკალავრიატის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მინიჭების (საკვალიფიკაციო) კომისია;
- მაგისტრატურის საგამოცდო კომისიები;
- დოქტურანტურის სადისერტაციო კოლეგიები.

2. ფაკულტეტის ეთიკის კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით.

3. ფაკულტეტის სარედაქციო-საგამომცემლო სწავლულ ექსპერტთა დარგობრივი კომისიის საქმიანობის წესსა და კრიტერიუმებს განსაზღვრავს უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დებულება.

4. ბაკალავრიატის, დიპლომირებული სპეციალისტისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მინიჭების (საკვალიფიკაციო) კომისია იქმნება საფაკულტეტო ბრძანებით, მაგისტრატურის საგამოცდო კომისიები ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით - რექტორის ბრძანებით, ხოლო დოქტურანტურის სადისერტაციო კოლეგიები კი - სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორის ბრძანებით. მათი საქმიანობის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.

თავი VII.

ფაკულტეტის პერსონალი

მუხლი 23. პერსონალი

ფაკულტეტზე არსებობს აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები.

მუხლი 24. აკადემიური პერსონალი

1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან, რომლებიც თანამდებობაზე აირჩევიან კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი, რომლებიც მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს.

3. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

4. აკადემიური პერსონალის უფლებები და ვალდებულებები დადგენილია საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით.

მუხლი 25. აკადემიური თანამდებობის დაკავება

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით.

3. აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს, აგრეთვე აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი).

მუხლი 26. უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალი

1. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალი შედგება მეცნიერებისა და პოსტდოქტორანტებისაგან.

2. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების მქონე პირები: მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი და მეცნიერი თანამშრომელი.

3. პოსტდოქტორანტია პირი, რომელიც კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განსახორციელებლად კონკურსის საფუძველზე აირჩევა ფაკულტეტზე აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით და ვადით. პოსტდოქტორანტად პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.

მუხლი 27. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.

2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება. პირი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 5 წლის ვადით ან უვადოდ. უვადოდ თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელიც აკმაყოფილებს ამ პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები (მაგალითად, აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და სხვა). უვადოდ არჩეული მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით ატესტაციის გავლას.

3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას 5 წლის ვადით იკავებს.

4. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას 5 წლის ვადით იკავებს.

5. სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების თარიღი და დამატებითი პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობითა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით გათვალისწინებული წესით, შესაბამისი საბუთების მიღებამდე 1 თვით ადრე.

6. ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესს და ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს შეიმუშავებს ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

7. პოსტდოქტორანტად აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

მუხლი 28. ადმინისტრაციული თანამდებობები და სხვა პერსონალი

1. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: ფაკულტეტის დეკანი, მისი მოადგილე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორი.
2. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებზე 65 წელს მიღწეული პირი შეიძლება არჩეული ან დანიშნული იქნეს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეკომენდაციით.
3. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი. მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს სასემინარო, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.
4. ფაკულტეტზე შესაძლებელია („უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე) მოწვეულ იქნეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.
5. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება ამ დებულების მე-6 თავით და უნივერსიტეტის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ფაკულტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პერსონალი.
6. ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირის და დამხმარე პერსონალის ვადამდე გათავისუფლების საფუძვლები დადგენილია საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით.

თავი VIII.

სტუდენტი

მუხლი 29. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

ფაკულტეტის სტუდენტი არის საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებისა და სამართლებრივი აქტების შესაბამისად ფაკულტეტზე ჩარიცხული პირი.

მუხლი 30. სტუდენტის უფლებები

1. სტუდენტს უფლება აქვს :

- მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევებში;
- შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტის საქმიანობის, მათ შორის, საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ;
- აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეული იქნეს სტუდენტური თვითმმართველობის, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მართვის წარმომადგენლობით ორგანოებში, უმაღლესი განათლების კანონის და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად;
- თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
- თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- საქართველოს კანონმდებლობითა და მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოახდინოს მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო გრანტის ამ დაწესებულებაში გადატანა;
- მიიღოს სტიპენდია, ფინანსური და მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;
- აირჩიოს სასწავლო პროგრამა;
- პერიოდული მონაწილეობა მიიღოს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესში;
- უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით გადავიდეს ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- მონაწილეობა მიიღოს მისი ინდივიდუალური საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის შემუშავებაში;
- საჭიროებისამებრ აიღოს აკადემიური შვებულება;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (შეზღუდული შესაძლებლობების) მქონე სტუდენტებმა სრულფასოვანი განათლების აუცილებელი პირობების შესაქმნელად მიიღონ სხვადასხვა სახის შეღავათები;
- განახორციელოს უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. დოქტორანტი შეიძლება არჩეული იქნას ასისტენტის თანამდებობაზე. უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევნებში იგი მონაწილეობს, როგორც სტუდენტი.

3. სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისათვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება.

4. ადმინისტრაციის მხრიდან დაუშვებელია საკუთარი უფლებამოსილების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის იმგვარი გამოყენება, რამაც შეიძლება შექმნას ცენზურის დაწესების საფრთხე ან შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება.

5. სტუდენტთა ქცევის, ასევე მის მიმართ დისციპლინური წარმოების წესები განსაზღვრულია უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით.

6. სტუდენტი უფლებამოსილია სასამართლოში გაასაჩივროს უნივერსიტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

7. სტუდენტის სტატუსი წყდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას, ასევე უნივერსიტეტის წესდებითა და ეთიკის კოდექსითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხლი 31. სტუდენტის ვალდებულებები

სტუდენტი ვალდებულია:

- ისწავლოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლაც სავალდებულოა.
- დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტები.
- ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.
- გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

მუხლი 32. სტუდენტური თვითმმართველობა

- ფაკულტეტზე ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე იქმნება სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაერთიანებულია უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობაში.
- უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა უნივერსიტეტის სტუდენტთა უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც წარმოადგენს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ფაკულტეტების მიხედვით არჩეულ სტუდენტური თვითმმართველობების ერთობლიობას.
- სტუდენტური თვითმმართველობა საქმიანობას წარმართავს ზემოაღნიშნული კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და თავისი დებულების მიხედვით.
- ფაკულტეტის ადმინისტრაციას უფლება არ აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

თავი IX .

ფაკულტეტის ბიუჯეტი

მუხლი 33. ფაკულტეტის შემოსავლები

1. ფაკულტეტის ბიუჯეტს შეადგენს ფაკულტეტის მიერ მოზიდული შემოსავლები პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებიდან, ასევე ნებისმიერი სხვა შემოსავალი, რომელიც მოზიდულია ფაკულტეტის მიერ და არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით, სტუ-ის წესდებით და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით.

2. ფაკულტეტს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და ამ დებულებით დადგენილი წესით გადაწყვიტოს ფაკულტეტის მიერ მოზიდული ფინანსების

განკარგვასთან და მის მფლობელობაში არსებული ქონების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხები.

მუხლი 34. ფაკულტეტის ბიუჯეტი

1. ფაკულტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტს დეკანთან შეთანხმებით ადგენს მენეჯერი, რომელსაც განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.
2. ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრული ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტი გადაეცემა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს) უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის პროექტში ასახვის მიზნით.
3. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) ფაკულტეტის ბიუჯეტს ჩართავს უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში და აკადემიური საბჭოს თანხმობით წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) დასამტკიცებლად, თუ ფაკულტეტის ბიუჯეტის განაწილება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს.
4. ფაკულტეტის ბიუჯეტს, როგორც უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის ნაწილს, ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი). წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) უფლება არა აქვს ფაკულტეტთან შეთანხმების გარეშე ცვლილება შეიტანოს ფაკულტეტის ბიუჯეტში.

თავი X.

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 35. ფაკულტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ფაკულტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 36. ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ფაკულტეტის დებულების შემუშავებისა და დამტკიცების წესის ანალოგიურად.